საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №114/04
2025 წლის 1 მაისი

ქ. თბილისი

„პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 17/02/2012, ს/კ: 220010020.18.011.016067) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52-ე მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე და 55^1 მუხლების, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 58-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**“.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 მუხლი:

„მუხლი 6^1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან/და მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ სხვა სანქციების გამოყენების წესი

1. დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან/და მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ ამ წესის 5^1 ან/და 5^2 მუხლებით განსაზღვრული ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ, იმავე მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან/და მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55^1 მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

2. ამ წესის 5^1 ან/და 5^2 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების გამოვლენისას, დარღვევისა და არსებული თუ შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან/და მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების ნაცვლად გამოიყენოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55^1 მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **ნათელა თურნავა**